

F171
1978

საქართველოს მსრ განათლების სამინისტრო
МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР



ბეჭედებითა და ინსპრავილითა
3 6 0 8 7 0

СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

№ 3

201680 — МАРТ

თბილისი — ТБИЛИСИ

1978

F4523

გ ა ნ გ ა რ თ ვ ხ ა

ამიერიდან ინსტრუქცია „საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანისა და გამოშვების შესახებ“ გამოიცემა 4-5 წელიწადში ერთხელ. მასში შეტანილ ცვლილებებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ყოველწლიურად აცნობებს სკოლებს სასწავლო წლის დასასრულს პრესის შეშვეობით.

ПРИМЕЧАНИЕ:

С настоящего времени «Инструкция об экзаменах, переводе и выпуске учащихся общеобразовательных школ Грузинской ССР» будет издаваться один раз в 4-5 лет. О внесенных в нее изменениях Министерство просвещения Грузинской ССР будет ежегодно сообщать посредством прессы.

ი ნ ს ტ რ უ მ ი ტ ი

საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა გამოცდების, გადაყვანისა და გამოშვების შესახებ

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IV, V, VI, VII, IX (X) კლასებში ტარდება გადასაყვანი, ხოლო VIII, X (XI) კლასებში გამოსაშვები გამოცდები.

გამოცდები მიზნად ისახვს შემოწმდეს მოსწავლეთა ცოდნის სილრმე, შეგნებულობა და სიმტკიცე, მისი ცხოვრებაში, პრაქტიკაში გამოყენების უნარი. გამოცდებისათვის მზადება, თვით გამოცდები ეხმარება მოსწავლეებს სისტემაში მოიყვანონ და განამტკიცონ სწავლების პროცესში მიღებული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ღრმად შეიგნონ შესწავლილი მოვლენებისა და ფაქტების მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

მოსწავლეთა ცოდნისადმი გამოცდებზე წაყენებული კონკრეტული მოთხოვნები განისაზღვრება ბილეთებით, თხზულებათა თემებითა და ტექსტებით წერითი გამოცდებისათვის.

სკოლის დირექტორი ვალდებულია, გამოცდების დაწყებამდე გააცნოს პედაგოგიური საბჭოს კველა წევრს ეს ინსტრუქცია, ხოლო მოსწავლეებსა და მშობლებს — ინსტრუქციის ის ნაწილი, რომელიც მათ ეხებათ.

შ მ ი ტ ა ნ ა :

1. სასწავლო მეცადინეობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ყველა კლასში მთავრდება მაინის ბოლო რიცხვებში. გამოცდები ჩატარდება 31 მაისიდან 28 ივნისამდე. ამავე პერიოდში ჩატარდება ხუთდღიონი სავილე მეცადინეობა და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა იმ მეცხრე კლასებში, სადაც არ გაუვლიათ სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა. ივნისის ოვეში ჩატარდება დამატებითი გამოცდებიც.

საშემოდგომო გამოცდები ჩატარდება აგვისტოს ბოლოს.

2. იმ დაუსწრებელ და დასწრებულ-დაუსწრებელ სკოლებში, სადაც შემოღებულია სხვადასხვარეულიმინი სწავლება და სასწავლო პროგრამას ვადაზე აღ-

რე გაივლიან, გამოცდები ჩატარდება ხაქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ მითითებულ ვადებში, შესაბამისი განათლების განყოფილებების მერი წარმოდგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

საქართველოს
სამართლებრივი კულტურული მდგრადი მოწვევის მიზანი

1. მოსწავლეთა გადაყვანისა და გამოშვების ფასი

1. კლასებში, სადაც არ ტარდება გამოცდები, შემდეგ კლასში გადაყავთ ის მოსწავლეები, რომელთაც ყველა საგანში აქვთ დადებითი შეფასება.

2. მოსმზადებელი კლასის მასწავლებელი, სასწავლო წლის ბოლოს აღგენს თითოეული მოსწავლის პედაგოგიურ დახსიათებას, რის საფუძველზეც ხდება მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვა.

იმავე კლასში კურსის განმეორებით გასავლელად პირველი, მეორე და მესამე კლასების მოსწავლეთა დატოვება ხდება მხოლოდ განსაკუთრებული მიზეზის არსებობისას, პედაგოგოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით.

3. კლასებში, სადაც ტარდება გამოცდები, შემდეგ კლასში გადაყავთ ის მოსწავლეები, რომელთაც ყველა საგანში აქვთ საბოლოო დადებითი შეფასება.

უ ე ნ ი ფ ა ნ ა :

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მოსწავლეთა განთავისუფლება შრომისა და ფიზიულტურის გაკვეთილებიდან არ ახდენს გავლენას შემდგომ კლასში მათ გადაყვანასა და სკოლიდან გამოშვებაზე.

4. წლიური ნიშნები საგნებში მასწავლებლებს გამოყავთ მეოთხედური (ნახევარწლიური) ნიშნების საფუძველზე, ხოლო ყოფა-ქცევაში — I-III კლასების მასწავლებლებს და IV-X (X) კლასებში. კლასის ხელმძღვანელებს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა ყოფაქცევის ნიშნის გამოვყანის შესახებ სსრკ განათლების მინისტრის მიერ 1970 წლის 31 დეკემბერს დამტკიცებული № 108-მ ინსტრუქციის მოთხოვნათა შესაბამისად (იხ. დანართი № 2).

5. იმ საგნებში, რომლებშიც ტარდება გამოცდები, საბოლოო ნიშნები მოსწავლეთათვის გამოყავთ საგნის მასწავლებლებს წლიური და საგამოცდო ნიშნების საფუძველზე.

შინაარსის გადმოცემისა და თხზულებისათვის IV—X (X)

კლასებში ნიშანი იწერება როგორც ლიტერატურაში, ისე ენაში.

საბოლოო ნიშანი „5“ არ შეიძლება დაიწეროს, თუ გამოცდები მოსწავლემ სხვა შეფასება მიიღო. საგამოცდო არადამაყმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში საბოლოო დამაკმაყოფილებელი ნიშნის დაწერა არ შეიძლება.

6. გამოცდებზე დაშვებიან მოსწავლეები, რომლებიც ასწრებენ ცველა საგანში, აგრეთვე ისინი, რომელთაც იქვთ წლიური არადამაყმაყოფილებელი შეფასება არა უმეტეს ორ საგანში.

მოსწავლეთა საგაზაფხულო, დამატებით და საშემოდგომო გამოცდებზე დაშვებისას მშობლიური ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა (არარუსულ სკოლებში) განიხილება, როგორც ერთი საგანი.

მოსწავლეები, რომელთაც წლიური ან საგამოცდო არადამაყმაყოფილებელი შეფასება აქვთ მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში ან ერთ-ერთ მათგანში, აბარებენ დამატებით ან საშემოდგომო გამოცდას როგორც წერაში, ისე ზეპირში.

7. დაუსწრებელი სკოლების სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებსა და ჯგუფებში გადასაყვანი გამოცდები ტარდება იმავე პუნქტებსა და ჯგუფებში.

ინდივიდუალური დაუსწრებლები, რომლებიც სკოლაში ცხადდებოდნენ და ჩათვლებს აბარებდნენ; გამოცდებს გადასაყვანი კლასის კურსზე აბარებენ მეცადინეობის ადგილზე საგიმოცდო ინსტრუქციით. გათვალისწინებულ საგნებში, ხოლო ის მოსწავლედაუსწრებლები, რომლებიც არ ესწრებოდნენ მეცადინეობას და ჩასათვლელ თემებს მხოლოდ წერილობით წარმოადგენენ, გამოცდებს-აბარებენ მოცემული კლასის ყველა სასწავლო საგანში. ტექსტებს წერითი და ბილეთებს ზეპირი გადასაყვანი გამოცდებისათვის ადგენენ იმ სალამოს ან დაუსწრებელი სკოლის მასწავლებლები, რომლებშიც გამოცდებს აბარებენ დაუსწრებლები და მათ ამტკიცებს სკოლის დირექტორი ან მისი მოადგილე. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

დაუსწრებლი სკოლის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებისა (ჯგუფების) და ინდივიდუალური სწავლების XI კლასის მოსწავლეებმა, რომელთაც საშუალება არ აქვთ დაუსწრებელ სკოლაში

ჩაბარონ გამოცდები, განათლების სამინისტროს ნებართვით შეუძლია
იძლება ეს გამოცდები ჩაბარონ მოცემული სკოლის სასწავლო-სა-
კონსულტაციო პუნქტში (ჯგუფში). ამ შემთხვევაში დაუსწრებელ-
თაგან გამოცდების მისაღებად, სასწავლო-საყონისულტაციო პუნ-
ქტებში (ჯგუფებში), დადგენილი წესის თანახმად, იქმნება საგამოც-
დო კომისია. დოკუმენტებს განათლების შესახებ გასცემს დაუსწრე-
ბელი სკოლა სასწავლო-საყონისულტაციო პუნქტიდან (ჯგუფიდან)
გადმოგზავნილი საგამოცდო ოქმებისა და საშუალო განათლების
ატესტატში შესატან საგნებში მიღებული საბოლოო ნიშნების სა-
ფუძველზე.

III გ ვ გ ვ გ ვ გ :

1. დღის რვაწლიანი სკოლის ბაზაზე მყოფი სასწავლო-საყონისულტაციო პუნ-
ქტის (ჯგუფის) XI კლასების მოსწავლეები და ინდივიდუალური დაუსწრებლები
საშუალო განათლების ატესტატის მიხალებ გამოცდებს ამავე წესით აბარებენ.
თუ რაიონში არ არის დაუსწრებელი სკოლა, განათლების სამინისტროს ნებარ-
თვით შეიძლება ეს გამოცდები ჩაბარონ ერთ-ერთ უახლოეს დღის საშუალო
სკოლაში, რომელსაც დაეყიდება ატესტატების გაცემა. ეს წესი უნდა განხორ-
ციელდეს 8-წლიანი სკოლის ბაზაზე მომუშავე საღამოს მეთერთმეტე კლასელებ-
ზეც.

2. გამოსაშევები გამოცდები ბათუმის მეზღვაურთა და მეთევზეთა რესპუბ-
ლიკურ სკოლებში შეიძლება ჩატარდეს წელიწადში ოთხერ, მათვის მოსახერ-
ხებელ დროს.

3. გამოსაშევები X (XI) კლასის მოსწავლეები, რომელთაც
აქვთ წლიური არადამაკმაყოფილებელი შეფასება ყოფაქცევაში, არ
დაიშვებიან გამოცდებზე. საშუალო სკოლის დამამთავრებელი გა-
მოცდები მათ შეუძლიათ ჩაბარონ სამუშაო აღვილიდან დადები-
თი დახასიათების წარმოდგენის შემდეგ, მომდევნო სამი წლის გან-
მავლობაში, ერთ საგამოცდო პერიოდში იმავე სკოლაში, ხოლო სა-
ცხოვრებელი აღვილის გამოცდლის შემთხვევაში — ერთ-ერთ რო-
მელიმე სკოლაში საცხოვრებელი აღვილის მიხედვით, რაიონის (ქა-
ლაქის) განათლების განყოფილების ნებართვით.

ყველა გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში კურს-
დამთავრებულს ეძლევა ჩვეულებრივი ნიმუშის ატესტატი. ყოფა-
ქცევაში შეფასების საყითხი, სამუშაო აღვილიდან წარმოდგენილი

დახსიათების გათვალისწინებით, წყდება იმ სკოლის პედაგვინს მიერ, რომელიც იძლევა ატესტატს.

9. IV-VII, VIII, IX, (X საღამოს) კლასების იმ მოსწავლეებს, რომელთაც წლიური ან საგამოცდო არადამაკმაყოფილებელი შეფასება აქვთ არა უმეტეს ორ საგანში, 1-დან 22 ივნისმდე აღნიშნულ საგნებში, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ცხრილის მიხედვით, ჩატარდებათ ყოველდღიური დამატებითი მეცადინეობა. დასწრებას უზრუნველყოფენ კლასის ხელმძღვანელები. 22-23 ივნისს ჩატარდება დამატებითი გამოცდები. მათი კლასიდან კლასში გადაყვანის ან იმავე კლასში დატოვების საჭირო გადაწყდება პედაგოგიური საბჭოს დასკვნით სხდომაზე.

საშემოდგომო გამოცდები ეძლევათ X (XI) დამამთავრებული კლასების მოსწავლეებს, რომელთაც წლიური და საბოლოო ნიშნების საფუძველზე მიიღეს არადამაკმაყოფილებელი შეფასება არა უმეტეს ორ საგანში, აგრეთვე ყველა სხვა კლასის მოსწავლეებს; რომელთაც ავადმყოფობის ან სხვა განსაკუთრებული მიზეზის გამო ვერ შეძლეს გამოცდების ჩაბარება.

დამატებითი და საშემოდგომო გამოცდები ტარდება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ცხრილისა და მოქმედი საგამოცდო ინსტრუქციის შესაბამისად.

10. მოსწავლეები, რომელთაც არადამაკმაყოფილებელი წლიური და საბოლოო შეფასება მიიღეს სამ და მეტ საგანში, აგრეთვე ისინი, ვინც ვერ ჩაბარათ თუნდაც ერთი დამატებითი ან საშემოდგომი გამოცდა, დატოვებულ იქნებიან იმავე კლასში.

გამოსაშვები X (XI) კლასის მოსწავლეები, რომელნიც არ იქნენ დაშვებული გამოცდებზე ან ვერ ჩაბარეს საგაზაფხულო გაგამოცდები ორზე მეტ საგანში, ან საშემოდგომო გამოცდა თუნდაც ერთ საგანში, გადაინ სკოლიდან. მათ ეძლევათ უფლება მომდევნო წელს იმავე სკოლაში ჩაბარონ გამოცდები იმ საგნებში, რომლებშიც ჰქონდათ არადამაკმაყოფილებელი შეფასება. საცხოვრებლად სხვაგან გადასვლის შემთხვევაში შეუძლიათ გამოცდები ჩაბარონ სკოლაში, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების ნებართვით. თუ მომდევნო წელს ისინი ვერ ჩაბარებენ გამოცდას თუნდაც ერთ საგანში, უფლება მიე-

ცემათ შემდეგში საშუალო სკოლის დამამთავრებელი გამოცდები ჩატარების ჩატარების ექსტრემული გამოცდებისათვის გამოცდების ჩატარების შესახებ სსრკ განათლების მინისტრის 1972 წ. 17 თებერვლის № 21 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად (იხ. დანართი № 8).

11. გამოსაშვები X (XI) კლასის მოსწავლეები, რომელთაც მოუსწრებლობისა და ივადმყოფობის გამო ვერ შეძლეს საშუალო სკოლის დამთავრება, მათი სურვილით შეიძლება დატოვებულ იქნენ მეორე წელს იმავე კლასში.

12. პედაგოგიური საბჭოს დადგენილება, მოსწავლეთა გაღაყვანის ან გამოცდებზე დაშვების, იმავე კლასში დატოვების, გაღაყვანის ან გამოცდების საშემოდგომოდ გადატანის შესახებ; ფორმდება ოქმში და სამი დღის განმავლობაში წერილობით ეცნობება მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, ხოლო საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეებისა —წარმოების ხელმძღვანელებსაც, საღამონიშნული იქნება გამოცდების ვადები, მათთვის კანონით გათვალისწინებული შვებულების მისაცემად.

II. გამოცდების ჩატარება

13. საგამოცდო საგნებს, გამოცდების რაოდენობას, მათი ჩატარების წესს, ფორმასა და ვადებს, ტექსტებს — წერით გამოცდებისათვის, თხზულებათა თემებს, საგამოცდო ბილეთებს გამოსაშვებ X (XI) კლასებში იმტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო. იმასთან, გამოსაშვები კლასების ზეპირი გამოცდების ბილეთები ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობაში, მათემატიკაში, ფიზიკაში დგება სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ტიპობრივი ბილეთების შესაბამისად.

ზეპირი გამოცდები რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე სწავლების სკოლების X (XI) გამოსაშვებ კლასებში ტარდება რსფსრ, აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროების მიერ შედგენილი ბილეთებით.

14. საგამოცდო კომისიების შემადგენლობას VIII, X (XI) გამოსაშვებ კლასებში, სკოლის დირექტორის წარდგინებით, ამტკიცებს ქალაქის (რაიონის) სახალხო განათლების განყოფილება, რომლის

გამგებლობაშიც შედის სკოლა, არა უგვიანეს ორი კვირისა გამოცდების დაწყებამდე. უცილებლობის შემთხვევაში სკოლაში შეიძლება შეიქმნას რამდენიმე საგამოცდო კომისია.

15. საგამოცდო კომისიის შემაღენლობაში შედიან: თავმჯდომარე (დირექტორი, მისი მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ან მასწავლებელი სკოლის დირექტორის წარდგინებით), საგნის მასწავლებელი და კომისიის წევრები: X (XI) კლასებში — ორი, VIII კლასებში — ერთი, იმავე ან მონათესავე საგნის მასწავლებლები. გადასაყვან კლასებში გამოცდას ატარებს საგნის მასწავლებელი და ასისტენტი.

16. განათლების განყოფილების გამგეები კომისიის წევრებად ამტკიცებენ უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლებს. საჭირო შემთხვევაში კომისიის შემაღენლობაში შეპყალ სხვა სკოლის უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლები.

კომისიის წევრებად უმაღლესი განათლების არმქონე მასწავლებლები შეიძლება დამტკიცდნენ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში.

გამოცდებზე განათლების განყოფილებები აგზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს. საგამოცდო ინსტრუქციის დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლის დირექტორს.

17. საგამოცდო ბილეთებს გადასაყვანი გამოცდებისათვის — და მასალას ზეპირი გამოცდებისათვის: წინადადებებს — გასარჩევად მშობლიურ ენაში (სწავლების ენაში), მაგალითებსა და ამოცანებს მათებატიკაში, ფიზიკაში დაგენერ მასწავლებლები. განიხილება საგნობრივი მეთოდებისათვის სხდომებზე და ამტკიცებს სკოლის დირექტორი გამოცდების დაწყებამდე არა უგვიანეს ათი დღისა. ეს მასალა არ უნდა იყოს ცნობილი მოსწავლეთათვის.

18. საგამოცდო თემებსა და სამუშაოების ტექსტებს წერითი გამოცდებისათვის ყველა უწყების საშუალო სკოლის დამამთავრებელი X (XI) კლასებისათვის ამზადებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

VIII კლასებს წერითი საგამოცდო მასალებით უზრუნველყოფენ განათლების განყოფილებები, ხოლო სხვა დანარჩენ კლასებს — თვით სკოლუბი.

19. გამოცდები ტარდება სკოლის დირექტორის მიერ დამტკი-



ცებული ცხრილით, რომელიც გამოცდების დაწყებამდე 15-იათ ადრე გამოიკვრება მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა-თვის გასაცნობად. ცხრილში გათვალისწინებული უნდა იქნეს:

— დღეში ორა უმეტეს ერთი გამოცდისა თითოეულ კლასში;

— გამოცდებს შორის შესვენების ხანგრძლივობა თითოეული სასწავლო საგნის კურსის მოცულობის გათვალისწინებით;

— წერითი გამოცდის ზეპირზე ადრე ჩატარება, თუ საგანში ორი გამოცდაა დაწესებული;

— წერითი გამოცდების ჩატარების ორი ვადა გადასაყვან კლასებში, თუ ეს პარალელური კლასების ოსებობითაა გამოწვეული.

20. მოსწავლეებს ეკრძალებათ გამოცდებზე რეცლების, სახელმძღვანელოების, სასწავლო და საცნობარო მასალის მოტანა.

21. მოსწავლეებს ზეპირი პასუხებისათვის მოსამზადებლად ეძლევათ სკოლის შტამპდამული ქაღალდი.

22. მოსწავლეები, რომელთაც წერითი სამუშაო შეასრულეს, შევად შესრულებულ სამუშაოსთან ერთად აბარებენ მას საკამცდო კომისიას და გადიან საქლასო ოთახიდან. მოსწავლეები, რომელთაც განკუთვნილ დროში ვერ დაამთავრეს სამუშაო, აბარებენ დაუმთავრებელ ნაწერს.

23. საგამოცდო წერითი ნამუშევრები ინახება სკოლის დირექტორთან. მასწავლებელი მათ ასწორებს სკოლაში, საგამოცდო კომისიის წევრებთან ერთად.

24. თუ მოსწავლეთა რიცხვი 20-ს აღემატება, ზეპირი გამოცდისას კლასი ორ ჯგუფად იყოფა, მაგრამ გამოცდა ერთ დღეს ტარდება. თითოეულ ჯგუფს ეძლევა მოცემულ საგანში ბილეთებისა და დამატებათა სრული კომპლუქტი. ერთ და იმავე ჯგუფში ნახმარი ბილეთების განმეორებით გამოყენება არ შეიძლება.

შენიშვნა:

დამატებითი მასალა (ტექსტები, ამოცანები, მაგალითები) პარალელური კლასებისათვის სხვადასხვა ვარიანტად უნდა შედგეს, ხოლო იმ კლასისათვის, რომელიც ორ ჯგუფად იყოფა, დამატებით მასალას მასწავლებელი ერთ ვარიანტად ადგენს.

25. პასუხისათვის მოსამზადებლად გამოსაცდელს ეძლევა
15 — 20 წუთი.



26. მოსწავლეს, რომელიც საგამოცდო ბილეთის აღებისთა შემთხვევაში, ვე ვანაცხადებს, რომ არ შეუძლია უპასუხოს მოცემულ კათხვებზე, საგამოცდო კომისიის ნებართვით შეუძლია აიღოს მეორე ბილეთი, ამასთან, შეფასებისას იყლდება ერთი ნიშანი.

27. საგამოცდო კომისიის წევრები, ისმენებ რა მოსწავლის პასუხს ბილეთის მიხედვით, აწყვეტინებენ მხოლოდ საჭირო შემთხვევაში. გამოსაცდელს შეიძლება მიეცეს დამატებითი კითხვები, როგორც წესი, ბილეთებით გათვალისწინებული მასალის ფარგლებში; თუ მოსწავლე, ბილეთზე პასუხის გაცემისას, ვერ გამოამედავნებს მასალის დამაკმაყოფილებელ ცოდნას, დამატებით შეიძლება დაესავას კითხვები პროგრამის სხვა განკუთილებიდან.

მოსწავლებს შეიძლება მისცენ შეკითხვა მხოლოდ გამომცდელმა მასწავლებელმა, საგამოცდო კომისიის წევრებმა და იმ პირთ, რომელთაც სკოლის ინსპექტორების უფლება აქვთ.

28. ზეპირი გამოცდების დროს მოსწავლეთათვის, იმათ გარდა, ვინც უკვე აიღო ბილეთი, წესდება შესვენება ყოველი აყალებიური სათასის შემდგე. ამასთან, გამოძახებული მოსწავლის გამოკიოხვა არ წყდება. პასუხის დამთავრების შემდეგ მოსწავლე გაღის კლასიდან.

29. ყოველი გამოცდის ჩატარების შემდეგ კომისია იფასებს მოსწავლეთა პასუხებს, წერს ნიშნებს და შეაქვს საგამოცდო ოქმში. ოქმს ხელს აწერს მოცემული საგნის საგამოცდო კომისიის ყველა წვერი.

30. მოსწავლის წერითი ნამუშევრის ან ზეპირი გამოცდის შეფასებისას, საგამოცდო კომისიის წევრთა შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში, საჭირო წყდება ხმის უმრავლესობით. კომისიის იმ წევრთა აზრი, რომლებიც არ ეთანხმებიან უმრავლესობის ვალა წყვეტილებას, შეტანილ უნდა იქნეს ოქმში. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის თავმჯდომარე არ ეთანხმება უმრავლესობის აზრს, საბოლოო გადაწყვეტილებას ღებულობს განკუთილება.

31. ზეპირ გამოცდაზე მიღებული შეფასება მოსწავლეს უნდა გამოუცხადონ გამოცდის დამთავრების შემდეგ, ხოლო წერითი გამოცდის ნიშანი — მომდევნო გამოცდის ჩატარებამდე. ჩატევორიულად იყრძალება საგამოცდო კომისიის წევრებს გარდა

გამოცდაზე სხვა პირთა დაშვება განათლების განყოფილების წერამ-
თვის გარეშე.

ვ ვ 6 0 ४ ३ ६ ა :

ცნობას გადასაყვანი გამოცდების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების
სამინისტრო გამოცდების გამოცდებაშდე რამდენიმე დღით ადრე.

32. კლასიდან კლასში გადასაყვან წერით გამოცდებზე კარნაცი-
ეთმობა 1, შინაარსის გადმოცემას — 2 ხოლო ობზულებას — 4
ასტრონომიული საათი; წერით გამოცდას ალგებრა და ანალიზის
საწყისებში საღამოს X გადასაყვან კლასში — 3 ასტრონომიული
საათი.

მოსწავლებს, რომლებიც წერენ შინაარსს საპროგრამო მას-
ლიდან ან ობზულებას, გამოცდაზე ეძლევათ სამი თემა, რომელთა-
გან აირჩევენ ერთ-ერთს.

33. როგორც წესი, ტექსტებს, თემებს, ამოცანებსა და მაგალი-
თებს წერითი გამოცდებისათვის გადასაყვან კლასებში და ავრეთვე
საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების X კლასებში ყვე-
ლა საგამოცდო საფანში რამდენიმე ვარიანტად (ირანაკლები 3-სა
თითოეული კლასისათვის) აღეცს საგნის მასწავლებელი და 25 მაი-
სამდე დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის ღირექტორს, რომე-
ლიც უშუალოდ გამოცდის წინ დამტკიცებულ ვარიანტს გადასცემს
მასწავლებელს. პასუხისმგებლობა ამ მასალების საიდუმლოების
დაცვაზე ეკისრება სკოლის ღირექტორსა და საგნის მასწავლებელს.
მათებატიკის წერით გამოცდაზე ამოცანები და მაგალითები მიეცე-
ბათ თანაბარი სიძნელის ორ ვარიანტად.

34. IV, V, VI, VII და IX, აგრეთვე საღამოს სკოლების X კლა-
სებში წერითი საგამოცდო სამუშაოები შესრულდება სკოლის შტამპ-
დასმულ სტეციალურ ფურცლებზე.

35. სოფლის ერთკომპლექტიანსა და ორკომპლექტიან დაწყე-
ბით სკოლებში, სადაც არის IV კლასი, გამოცდების ჩატარების შემ-
თხვევაში განათლების განყოფილების გადაწყვეტილებით, იქმნება
საგამოცდო კომისიები, რომელთა შემადგენლობაში შედიან ერთ-
კომპლექტიანი და ორკომპლექტიანი IV კლასების ახლომდებარე რვა-
წლიანი და საშუალო სკოლების შესაბამისი საგნის მასწავლებლები.
ამასთან, თითოეული IV კლასის მასწავლებელი ასისტენტის თანდას-
წრებით ამოწმებს თავისი კლასის მოსწავლეების ცოდნას.



IV. გამოსაზვები გამოცდები VIII კლასში

36. ყველა ტიპის ქართული სკოლების VIII კლასში ტარდება გამოცდები: მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში — ზეპირი, ალგებრაში — წერითი, ხოლო რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ სკოლებში — მშობლიურ ენაში — ზეპირი, ალგებრაში — წერითი. აღნიშნულ საგნებს ემატება გამოცდა ერთ-ერთ მათგანში, რომელსაც აირჩევს თვით სკოლა. გადაწყვეტილება მესამე საგამოცდო საგნის შესახებ გამოაქვს პედაგოგიურ საბჭოს, რის შესახებაც მეორე დღესვე აცნობებს განათლების განყოფილებას. მასთან ერთად, რიგი საგნების უცხოურ ენაზე სწავლების სკოლებში მესამე საგნად ჩაითვლება ზეპირი გამოცდა უცხოურ ენაში.

37. წერითი საგამოცდო სამუშაოები VIII კლასში სრულდება შტამპიან ფურცლებზე, რომელსაც დირექტორი საგამოცდო პაკეტთან ერთად დებულობს სახალხო განათლების განყოფილებაში.

38. მოსწავლეები, რომლებსაც არადამაკმაყოფილებელი წლიური ან საბოლოო შეფასება აქვთ მშობლიურ (სკოლაში სწავლების) ენაში, დამატებით აბარებენ ზეპირ და წერით გამოცდას ამ საგანში.

მოსწავლეები, რომელთაც წლიური არადამაკმაყოფილებელი შეფასება აქვთ ალგებრაში, ამ საგანში როგორც წერით, ისე ზეპირ გამოცდას აბარებენ დამატებით გამოცდაზე.

39. VIII კლასში წერით გამოცდაზე ალგებრაში მოსწავლეებს ეძლევათ ერთი ამოცანა და ოთხი მაგალითი განვლილი მასალიდან, წინა კლასში შესწავლილი ძირითადი საკითხების გათვალისწინებით. ამოცანები და მაგალითები მიეცემათ თანაბარი სიძნელის ორ ვარიანტად. წერით გამოცდას ალგებრაში ეთმობა 3 ასტრონომიული საათი, თხზულებაზე მუშაობას — 4.

40. VIII კლასშისათვის საგამოცდო მასალებს — ამოცანებსა და მაგალითებს აღგენერ რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებები, ამრავლებენ მათ თავიანთი სკოლების რაოდენობის მიხედვით და დახურული პაკეტით, რომლებზეც აღნიშნულია გამოცდების ჩატარების თარიღი, გადასცემენ სკოლების დირექტორებს: ქალაქისას — გამოცდის დღეს, ხოლო სოფლისას — გამოცდის წინადღეს.

V. საშუალო სკოლის პურსის დამამთავრებელი გამოცდები



41. საშუალო განათლების ატესტატის მისაღები გამოცდები, ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ სკოლებში ტარდება შემდეგ საგნებში:

მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში — წერითი, მშობლიურ ლიტერატურაში — ზეპირი, რუსულ ენასა და ლიტერატურაში — ზეპირი, ალგებრა და ანალიზის საწყისებში — წერითი, სსრ კავშირის ისტორიასა და საზოგადოებათმცოდნეობაში — ზეპირი, ფიზიკაში — ზეპირი; რუსულ სკოლებში — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში — წერითი, მშობლიურ ლიტერატურაში — ზეპირი, ალგებრა და ანალიზის საწყისებში — წერითი, სტორია — საზოგადოებათმცოდნეობაში — ზეპირი, ფიზიკაში — ზეპირი, უცხოურ ენაში — ზეპირი. რიგი საგნების უცხოურ ენაზე სწავლების ქართულ სკოლებში ტარდება უცხოურ ენაში გამოცდა 25-დან 30 მასამდე, ძირითადი გამოცდების დაწყებამდე.

შ მ ნ ი ჭ ვ ნ ა :

საღამოს (ცვლიანი) ქართული, სომხური და აზერბაიჯანული სკოლების XI კლასებში გამოცდა ტარდება არა ალგებრა და ანალიზის საწყისებში, არამედ მათემატიკაში (წერა).

წერით გამოცდაზე მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში ეძღვავთ 3 თემა: ორი — პროგრამული მასალიდან, ერთი — თავისუფალი. მოსწავლეებს აქვთ არჩევის უფლება.

წერით გამოცდაზე ალგებრა და ანალიზის საწყისებში ეძღვავთ ხუთი მაგალითი X (XI) კლასში შესწავლილი მასალისა და წირაკლასებში გავლილი ძირითადი საკითხების გათვალისწინებით. ამოცანა და მაგალითები ალგებრა და ანალიზის საწყისებში მიეცემათ ერთ ვარიანტად.

42. წერითი სამუშაოს შესასრულებლად მოსწავლეებს ეძღვავთ მშობლიურ ლიტერატურაში 6 ასტრონომიული საათი, მათემატიკაში — 4.

43. საგამოცდო თემებს თხზულებისათვის მშობლიურ ლიტერატურაში, ამოცანებსა და მაგალითებს — მათემატიკაში X (XI) გამოსაშვები კლასებისათვის ადგენს და უშუალოდ გამოცდის წინ რადიოთი გადასცემს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

ასსრ განათლების სამინისტროები, ავტონომიური ოლქის რეს-
პუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილების
უზრუნველყოფების სკოლებში საგამოცდო თემებისა და მასალების
გადაცემის შეუფერხებელ მიღებას საგამოცდო ინსტრუქციის ზუს-
ტი დაცვით.

44. X (X I) კლასების საგამოცდო წერითი ნამუშევრები სრულ-
დება სპეციალურ შტამპიან ფურცლებზე, რომლებსაც სკოლის დი-
რექტორი ლებულობს განათლების განყოფილებაში.

ვ ვ 6 0 ვ 3 6 1 :

რესპუბლიკური დაუსწრებელი სკოლები საგამოცდო ხაწერ ქაღალდს იღებენ
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროდან.

45. გამოსაშვები X (X I) კლასების იმ მოსწავლეებს, რომელნიც
ავადმყოფობის გამო ვერ გამოცხადდნენ გამოცდაზე, პედაგოგიური
საბჭოს დადგენილებით უფლება ეძლევათ საშუალო განათლების
ატესტატის მისაღები გამოცდები ჩააბარონ ახალი სასწავლო წლის
დაწყებამდე, 22-დან 30 აგვისტომდე.

46. საგამოცდო კომისია აცხებს ოქმს ორ ეგზემპლარად, რომელ-
თავან ერთი რჩება სკოლაში, მეორე ეგზავნება რაიონის (ქალაქის)
განათლების განყოფილებას.

ვ ვ 6 0 ვ 3 6 2 :

ასს რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის სკოლებისათვის სავალდებულოა
მესამე ოქმის შევსება. იგი ეგზავნება შესაბამისად ასსრ განათლების სამინისტრო-
ებსა და ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ეგზავნება საშუალო სკოლის
კურსდამთავრებულთა სიები აღნიშვნით — რა სახის ატესტატი მიეცა. სიების
სისწორეზე პირადი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ასსრ განათლების მინისტრებს,
ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათ-
ლების განყოფილებათა გამგებს, სკოლის დირექტორებს.

47. ყველა საგამოცდო წერითი ნამუშევარი, რომელიც სკოლის
საგამოცდო კომისიის მიერ შეფასებულია „5“-ზე, გამოცდის მომ-
დევნო დღეს შესამოწმებლად ეგზავნება სახალხო განათლების გან-
ყოფილებას.

ოქროს მედლით დაჯილდოების კანდიდატთა საგამოცდო უ-
რითი ნაშუშევრები რეცენზიებითა და რაიონების (ქალაქების) სა-
ხალხო განათლების განყოფილებათა, აფხაზეთისა და აქაურულ-
განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის საოლქო და თბილი-
სის საქალაქო განათლების განყოფილების კომისიების შეფასებით,
არაუგვიანეს 10 ივნისისა (მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში)
და 15 ივნისისა ალგებრა და ანალიზის საჭყისებში, წარედგინება სა-
ქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

დამამთავრებელ X (X) კლასის, მოსწავლეები, რომელთაც
არადამაკმაყოფილებელი წლიური შეფასება აქვთ ენაში, რომელზეც
მიმღინარეობს სწავლება სკოლაში, გაზაფხულზე აბარებენ ზეპირ
გამოცდას ლიტერატურაში, ხოლო შემოდგომაზე წერენ თხზულე-
ბას. მოსწავლეები, რომელთაც არადამაკმაყოფილებელი წლიური
და საბოლოო შეფასება აქვთ ენასა და ლიტერატურაში ან მხოლოდ
ლიტერატურაში, შემოდგომაზე აბარებენ გამოცდას ლიტერატუ-
რაში და წერენ თხზულებას.

დამამთავრებელი X (X) კლასის მოსწავლეები, რომელთაც რუ-
სულ ენასა და ლიტერატურაში (არარუსულ სკოლებში), „3“-ზე დაბა-
ლი წლიური ნიშანი აქვთ, შემოდგომაზე აბარებენ მხოლოდ ზეპირ
გამოცდას და მიღებული ნიშანი დაწერებათ როგორც ენაში, ისე
ლიტერატურაში. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეებს, „3“-ზე დაბალი
შეფასება აქვთ სსრ კავშირის ისტორიაში, საზოგადოებათმცოდნეობაში, ხოლო შემოდგომაზე — ის-
ტორიაში და პირიქით.

გამოცდაზე სსრ კავშირის ისტორიასა და საზოგადოებათმცო-
დნეობაში ორი ნიშანი იწერება: ერთი — სსრ კავშირის ისტორიაში
და მეორე — საზოგადოებათმცოდნეობაში.

დამამთავრებელი X (X) კლასების მოსწავლეებს, რომელთაც
3-ზე დაბალი წლიური შეფასება აქვთ ალგებრა და ანალიზის საჭყი-
სებში, შემოდგომაზე აბარებენ წერით და ზეპირ გამოცდას ამ სა-
განში.

48. გამოცდების დამთავრების შემდეგ სკოლის პედაგოგიური
საბჭო, საგამოცდო კომისიის ყველა წევრის მონაწილეობით, იხი-
ლავს გამოცდების შედეგებს და ოქმების საფუძველზე წყვეტს სა-

კითხს X (X I) კლისების კურსდამთავრებულთაოფის საშუალო განა-
თლების ატესტატის მიცემის, ოქროს მედლებითა და ქების სიმღერა-
ზით იმ მოსწავლეთა დაჯილდოების შესახებ, რომელთაც წარჩინები
ძირ დამთავრეს საშუალო სკოლა.

49. საშუალო სკოლის თითოეულ კურსდამთავრებულს ატესტატთან ერთად მიეცემა რვაწლიანი განათლების მოწმობა და დახასიათება, რომელსაც ხელს აშერენ სკოლის დირექტორი, კლასის ხელმძღვანელი, ალკა სასკოლო კომიტეტის მდივანი და მოწმდება სკოლის ბეჭდით.

დახასიათებაში ოლინიშნება კურსდამთავრებულის ინტერესებისა და მიღრეკილებათა პედაგოგიური შეფასება (რომელი საგნის შესწავლით იყო დაინტერესებული და რა შედეგებს მიაღწია), მისი დამოკიდებულება შრომისადმი, სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა.

50. ოემებს, ამოცანებსა და მაგალითებს X (XI) კლასში საშემო-
ლგომო გამოცდებისათვის სკოლებს უგზავნიან ავტონომიური რეს-
პუბლიკების განათლების სამინისტროები, ოქების, ქალაქებისა და
რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები.

VI. გადასაყვანი და გამოსაზვები გამოცდებილან
მოსაზღვრეთა განთავისუფლების შესახებ

51. გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდებილან მოსწავლეები
არ თავისუფლდებიან.

იმ მოსწავლეს, რომელიც ავადმყოფობის ან სხვა საპატიო მა-
ზეზის გამო ვერ გამოცხადდება გამოცდებზე, იგი გადაეტანება საშე-
მოდგომოდ. ხოლო თუ მოსწავლე ვერც შემოდგომაზე გამოცხადდა
აღნიშნული მიზეზით, შემდეგ კლასში გადავა (მიეცემა მოწმობა
ან ატესტატი) წლიურ შეფასებათა საფუძველზე.

52. მოსწავლების, რომლებიც გამოცდების პერიოდში ავად გა-
ხდებიან ან გამოცდების დამთავრებამდე გამოჯანმრთელდებიან, შე-
უძლიათ ჩააბარონ როგორც დარჩენილი, ისე გამოტოვებული ყვე-
ლა გამოცდა; გამოტოვებული გამოცდები შეიძლება ჩააბარონ და-
მატებითი 5 დღის განმავლობაში, საგაზაფხულო გამოცდების შემ-
დეგ ან შემოდგომაზე.

53. გადასაყვანი და VIII კლასების მოსწავლეთათვის გამოსაშე-
ვები გამოცდების საშემოდგომოდ გადატანის საკითხს გადაწყვეტ
ქალაქის (რაიონის) განათლების განყოფილება, ხოლო საშუალება გა-
ნათლების ატესტატზე გამოცდებისას — საქართველოს სსრ განკუთრებულ
ლების სამინისტრო.

VII. რვაწლიანი და საშუალო განათლების შესახებ დოკუმენტების გაცორევება და გაცემა

54. რვაწლასდამთავრებულ მოსწავლეებს მიეცემათ რვაწლია-
ნი განათლების მოწმობა, საშუალო სკოლადამთავრებულებს — სა-
შუალო განათლების ატესტატი.

55. რვაწლიანი განათლების მოწმობასა და საშუალო განათლე-
ბის ატესტატს მოსწავლეები ღებულობენ სკოლაში, სადაც მათ და-
ამთავრეს რვა კლასი ან დაასრულეს საშუალო განათლება.

იმ შემთხვევაში თუ VIII, X (XI) გამოსაშევები კლასების მოს-
წავლე იმყოფებოდა სამკურნალო დაწესებულებაში (საავალყოფო,
სანატორიუმი), სადაც ტარდებოდა მეცადინეობა, მოწმობას ან
ატესტატს ღებულობს სამკურნალო დაწესებულებაში მიღებული
შეფასების გათვალისწინებით იმ სკოლაში, სადაც მუდმივად სწავ-
ლობდა.

56. რვაწლიანი განათლების მოწმობა და საშუალო განათლე-
ბის ატესტატი შეივსება ფაქტზე და გარკვევით — შევი ტუშით.
ხელს აწერს სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავ-
ლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში და არანაკლებ სამი მას-
წავლებლისა.

თუ სკოლის შტატში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის
დარგში დირექტორის მოადგილის თანამდებობა არ არის გათვალის-
წინებული, მის მაგივრ, დირექტორის მითითებით, ხელს აწერს
ერთ-ერთი მასწავლებელი. სკოლის გერბიანი ბეჭდის ანბეჭდი
უნდა იყოს გარკვეული, იყითხებოდეს ადვილად. დაუშვებელია წაშ-
ლა და შესწორება, გრაფების შეუცხებლად დატოვება. კურსდამ-
თავრებულის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თვე და წე-
ლი იწერება მთლიანად და პასპორტის მონაცემების შესაბამისად,
ხოლო რვაწლასდამთავრებულისა, რომელსაც ჯერ არ აქვს პასპორ-
ტი — დაბადების მოწმობის ჩანაწერების შესაბამისად. სრულად

უნდა იქნეს ნაჩვენები დოკუმენტის გამცემი სკოლის ნომერი და
ადგილმდებარება. რვაწლიანი განათლების მოწმობა და საშუალებების განათლების ატესტატი საქართველოს სსრ სკოლებში იცება ორ ტაზე — ქართულსა და რუსულზე.

ნიშნები მოწმობასა და ატესტატში ყველა საგანში იწერება ცი-
ფრებით და სიტყვეერად — ფრჩხილებში: 5 (ფრიადი), 4 (ცარი),
3 (საშუალო), ხოლო ცალკეულ დისციპლინებში, სადაც შემოღებუ-
ლია ჩათვლითი სისტემა — „ჩაეთვალა“ ან „არ ჩაეთვალა“.

57. მოსწავლეებს, რომლებსაც მათგან დამოუკიდებელი მიზე-
ზების გამო არ აქვთ შეფასება უცხოურ ენაში, ფიზიკურ კულტუ-
რაში, შრომით სწავლებაში, სახეოთ ხელოვნებაში, მუსიკასა და სიმ-
ღერაში, რვაწლიანი განათლების მოწმობასა და საშუალო განათ-
ლების ატესტატში უწერებათ — „არ უსწავლია“. მოსწავლეებს,
რომლებიც გათავისუფლებული იყვნენ ფიზიკური კულტურისა და
შრომითი სწავლების მეცადინეობიდან ჯანმრთელობის მდგომა-
რეობის გამო, ჩაეწერებათ — „გათავისუფლებულია“.

58. მოსწავლეებს, რომლებიც გათავისუფლებული არიან გა-
მოცდებიდან, მოწმობასა და ატესტატში ჩაეწერებათ წლიური ნიშ-
ნები.

59. მოსწავლეებს, რომელთაც შეისწავლეს ფაკულტატიური
კურსი, რვაწლიანი განათლების მოწმობაში, ატესტატში საშუალო
განათლების შესახებ გაუკეთდებათ შესაბამისი ჩანაწერი შეფასების
ნიშნის გარეშე.

ვ ე ნ ი ფ ვ ნ ა :

საგამოცდო კომისიების დამტკიცების, მოსწავლეთა გამოცდებიდან გათავისუ-
ფლების, ატესტატებისა და მოწმობების გაცემის საკითხი იმ სკოლებში, რომლე-
ბიც არ შედიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში, განიხი-
ლება და წყდება შესაბამისი სამინისტროსა და უწყებათა სასწავლო დაწესებულე-
ბების განყოფილების მიერ.

რვაწლიანი განათლების მოწმობა

60. რვაწლიანი განათლების მოწმობაში ნიშნები ჩაიწერება
IV—VIII კლასების სასწავლო გეგმაში შემავალ ყველა საგანში
და ყოფაქცევაში, რომელიც გამოიჩინა VIII კლასში.

61. მოსწავლის ყოფაქცევის შეფასება ჩაიწერება სიტყვებით:

„სანიმუშო“, „დამაკმაყოფილებელი“ ან „არადამაკმაყოფილებელი“.

62. რეაწლიანი განათლების მოწმობის რეგისტრირება ხდება ბლანკებისა და რეაწლიანი განათლების მოწმობის აღრიცხვისა და გაცემის წიგნებში.

საშუალო განათლების ატესტატი

63. საშუალო განათლების ატესტატში ნიშნები ჩაიწერება IX—X (XI) კლასების სასწავლო გეგმაში შემავალ ყველა საგანში, აგრეთვე ყოფაქცევაში, რომელიც გამოიჩინა გამოსაშვებ X (XI) კლასში.

64. მოსწავლეთა ყოფაქცევის შეფასება ჩაიწერება სიტყვებით: „სანიმუშო“ ან „დამაკმაყოფილებელი“.

გამოსაშვები X (XI) კლასის მოსწავლე, რომელიც ამ იქნა დაშვებული ან ვერ ჩააბარა საშემოდგომო გამოცდები, ლებულობს მოწმობას, რომელშიც ნაჩერებია წლიური ან საბოლოო (თუ აბარებდა გამოცდებს) ნიშნები ყველა საატესტაციო საგანში და შეფასება ყოფაქცევაში (იხ. დახართი № 12).

65. X (XI) კლასის მოსწავლე, რომელსაც არადამაკმაყოფილებელი წლიური შეფასება აქვს ყოფაქცევაში, მიიღებს ცნობას, რომ მოისმინა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის კურსი. ცნობაში ჩაიწერება ნიშნები ყველა სასწავლო საგანში, რომლებიც გათვალისწინებულია IX—X (XI) კლასებისათვის სასწავლო გეგმით (იხ. დანართი № 13).

66. მოსწავლე სპორტსმენი, რომელიც X (XI) დამამთავრებელ კლასში სწავლის პერიოდში დროებით იქნა მიმაგრებული სხვა სკოლაზე და თავისუფლდება. გამოცდიდან, ატესტატს იღებს თავის ყოფილ სკოლაში.

67. საშუალო განათლების ატესტატების რეგისტრაცია წარმოებს საშუალო განათლების ატესტატების აღრიცხვისა და გაცემის წიგნში.

VIII. საგამოცდო ანგარიშგება

68. ყველა წერითი ნამუშევარი, რომელიც მოსწავლეებმა შეასრულეს გამოცდებზე, ბილეთები და დამატებითი მასალა, რომლებითაც ზეპირი გამოცდები წარმოებდა, აგრეთვე გადასაყვანი, და-

მამთავრებელი და საშუალო განათლების ატესტატზე ჩატარებული
გამოცდების ოქმები, გამოცდებზე ექსტრერნად დაშვებულთა ცხრილის
თებთან ერთად, სკოლაში ინახება 5 წლის განმავლობაში. 5 წლის
შემდეგ საბოლოო შეფასების უწყისები ბარდება შესანახად ქალა-
ქის (რაიონის) ორქივს, დანარჩენი მასალა დადგენილი წესის მიხედ-
ვით ნადგურდება.

69. გადასაყვანი, გამოსაშვები და საშუალო განათლების ატეს-
ტატზე ჩასაბარებელი გამოცდების საერთო შედეგები განხილულ
უნდა იქნეს სკოლის პედაგოგიური საბჭოს დასკვნით სხდომაზე.

70. გადასაყვანი, გამოსაშვები და საშუალო განათლების ატეს-
ტატზე გამოცდების ორგანიზაციისა და ჩატარების შესახებ რაიმე
აღვილობრივი ინსტრუქციის გამოცემა აკრძალულია.

კატეგორიულად აკრძალულია აგრძელვე სკოლის დირექტორები-
საგან გამოცდების შედეგების შესახებ რაიმე ისეთი ცნობების მო-
თხოვნა, რაც სტატისტიკური ანგარიშებით არ არის დაწესებული.

სკოლების სამართველო

1978 წ. 2 მარტი

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების
მოსწავლეობა ცოდნის შეფასების შესახებ

I. ზოგადი მითითებანი

მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისათვის დაწესებული ხუთბა-
ლიანი ციფრობრივი სისტემის შესაბამისი ნიშნები იწერება მთელი
რიცხვებით: 5 (ფრიადი), 4 (კარგი), 3 (საშუალო), 2 (ცუდი), 1
(ძლიერ ცუდი).

მოსწავლეებს, რომლებიც ჯანმრთელობის მდგრადი მომღერალების გა-
მო ფიზიკურ კულტურაში სპეციალურ სამედიცინო ჯგუფში მეცა-
დინეობენ, მეოთხედებისა და სასწავლო წლის ბოლოს ეწერებათ
„ჩათვალა“ ან „არ ჩათვალა“. ამავე წესით ხდება ყველა მოსწავ-
ლის შეფასება სიმღერაში.

II. ცოდნის შეფასება მითითების გოლოს

1. მეოთხედური ნიშნის გამოყვანა ხდება საკლასო უურნალში
შეტანილ მიმღინარე როგორც წერით, ისე ზეპირ შეფასებათა სა-
ფუძველზე საშუალო არითმეტიკულის წესით. ამასთან, ნახევარზე
მეტი ბალი ჩაითვლება მთელად (მოსწავლის სასარგებლოდ), ნახე-
ვარი კი მხოლოდ იმ შემთხვევაში — თუ ბოლო ნიშანი აღმავალია.
ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოსწავლის რეა-
ლური ცოდნა მოცემულ საგანში.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე ვადმყოფობით ან
სხვა რაიმე საპატიო მიზევით ჩამორჩა სწავლას, მეოთხედის ბოლოს
მისი ცოდნის შემოწმება შეიძლება მეოთხედის განმავლობაში გან-
ვლილი მთელი მასალის ფარგლებში.

უ ნ ი უ ნ ა:

ფიზკულტურაში მეოთხედური და წლიური ნიშნების გამოყვანის წესი მი-
თითებულია სპეციალურ ინსტრუქციაში.

III. წლიური და საბოლოო ნიშნის დადგენის ზედ

3. წლიური ნიშანი იწერება ოთხივე მეოთხედური ნიშნის საფუძველზე.

4. წლიური ნიშანი „5“ დაიწერება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლეს არც ერთ მეოთხედში არა აქვს „4“-ზე ნაკლები ნიშანი და ერთ რომელიმე მეოთხედსა და ბოლო მეოთხედში აქვს ნიშანი „5“; მაგალითად: მოსწავლეს, რომელსაც აქვს საგანში მეოთხედების მიხედვით „4“, „4“, „5“, „5“, ან „5“, „4“, „4“, „5“, დაეწერება „5“, მაგრამ იმ მოსწავლეს, რომელსაც აქვს „5“, „5“, „5“, „4“, ან „4“, „4“, „4“, „5“, დაეწერება „4“.

5. წლიური ნიშანი „4“ დაიწერება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლეს არც ერთ მეოთხედში არა აქვს „3“-ზე ნაკლები ნიშანი და ერთ რომელიმე მეოთხედსა და ბოლო მეოთხედში აქვს ნიშანი „4“; მაგალითად: მოსწავლეს, რომელსაც აქვს საგანში მეოთხედების მიხედვით „3“, „4“, „3“, „4“, ან „4“, „3“, „3“, „4“, შეიძლება დაიწეროს „4“, მაგრამ იმ მოსწავლეს, რომელსაც აქვს „4“, „4“, „4“, „3“, ან „3“, „3“, „4“, — დაეწერება „3“.

6. წლიური „3“ დაიწერება იმ შემთხვევებში, როდესაც მოსწავლეს ყველა მეოთხედში აქვს ნიშანი „3“ ან აქვს ერთი ან ორი — „2“, მაგრამ არა ბოლო მეოთხედში; მაგალითად: მოსწავლეს, რომელსაც აქვს საგანში მეოთხედების მიხედვით „3“, „2“, „2“, „3“, ან „2“, „3“, „2“, „3“, შეიძლება დაეწეროს „3“, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლეს აქვს „3“, „3“, „2“, „2“, „2“, „2“, „3“, — დაეწერება „2“.

7: ისტორიაში:

IV-V-VI კლასებში წლიური ნიშანი იწერება მეოთხედური ნიშნების საფუძველზე.

VII კლასში იწერება ორი წლიური ნიშანი, ერთი — სსრ კავშირის ისტორიაში, მეორე — საქართველოს ისტორიაში.

VIII კლასში სასწავლო წლის პირველ ნახევარში ნიშანი იწერება ახალ ისტორიაში, ხოლო II ნახევარში — სსრ კავშირის ისტორიაში. წლიური ნიშნის გამოყვანის დროს მხედველობაში მიიღება I ნახევრის ნიშანიც.

IX კლასში სასწავლო წლის პირველ ნახევარში ნიშანი იწურება ახალ ისტორიაში, II ნახევარში კი ეს საგანგი გრძელდება უახლესი ისტორიით და გამოიყვანება წლიური ნიშანი (მსოფლიო ისტორია).

მეორე ნახევარში აგრეთვე ისწავლება სსრ კავშირის ისტორია და ამ საგანგი წლიური ნიშანი დაიწერება III-IV მეოთხედების ნიშნების საფუძველზე.

X (XI) კლასებში ისწავლება სსრ კავშირის ისტორია და საზოგადოებათმცოდნეობა, წლის ბოლოს ნიშნები გამოიყვანება ცალ-ცალკე.

უახლესი ისტორიის წლიური ნიშანი შევა ატესტატი, როგორც მსოფლიო ისტორიის ნიშანი, ხოლო სსრ კავშირის ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის საატესტო. ნიშანს გამოავლენს გამოსაშვები გამოცდები.

VIII-IX-X (XI) კლასების მოსწავლეთა ცოდნის შეფასება საქართველოს ისტორიაში ხდება ნახევარწლიურად, რის საფუძველზეც გამოიყვანება წლიური ნიშანი.

1. როგორც VIII და X (XI) კლასების დამთავრებისას, ისე კლასიდან კლასში გადაყვანის დროს საგამოცდო საგნებში მოსწავლეს საბოლოო ნიშანი ეწერება წლიური და საგამოცდო ნიშნების საფუძველზე, ხოლო არასაგამოცდო საგნებში საბოლოოა წლიური ნიშანი.

წლიური და საგამოცდო ნიშნების საფუძველზე საბოლოო ნიშნის გამოყვანა ყველა კლასში წარმოებს შემდეგი წესით:

ა) საბოლოო ნიშანი „5“ მოსწავლეს დაეწერება იმ შემთხვევაში, როდესაც წლიური და საგამოცდო ნიშნები „5“-ები აქვს ან წლიური „4“, საგამოცდო კი „5“. X (XI) დამამთავრებელ კლასში შეფასება „5“ იწერება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლეს როგორც წლიური, ისე საგამოცდო ნიშნები „5“ აქვს;

ბ) საბოლოო ნიშანი „4“ დაეწერება იმ მოსწავლეს, რომელსაც წლიური და საგამოცდო ნიშანი აქვს „4“ ან წლიური აქვს „3“, საგამოცდო ნიშანი კი — „4“.

გ) იმ მოსწავლეს, რომლის წლიური ნიშანი არის „3“, ხოლო საგამოცდო ნიშანი — „5“, ანდა პირიქით, წლიური ნიშანი არის

„5“, ხოლო საგამოცდო ნიშანი — „3“, საბოლოო ნიშნად დაწერ-
რება „4“.

ზ ე ნ ი ზ ნ ა:

IX კლასში დაწყებით სამხედრო მომზადებაში წლიური ნიშანი იწერება
ხუთდღიანი საველე პრაქტიკის გავლის შემდეგ, ხოლო შრომით სწავლებაში —
სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის გავლის შემდეგ.

მოხსწავლეს, რომელსაც რომელიმე საგანში მეოთხედების მიხედვით აქვს შე-
ფასება „2“, „2“, „2“, „3“ პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით, როგორც
გამონაკლისი, შეიძლება დაეწეროს წლიური ნიშანი „3“.

ზ ე ნ ი ზ ნ ა:

1. მშობლიურ ლიტერატურაში, სადაც ტარდება წერითი და ზეპირი გამოც-
დები, საბოლოო ნიშანი გამოიყვანება წლიური და ორი საგამოცდო ნიშნის სა-
ფუძველზე (ზეპირი და თხზულების ლიტერატურული მხარის შეფასება), ამას-
თან, საშუალო განათლების ატესტატის მშობლიური ენის გრაცაში ნიშანი შეი-
ტანება. X კლასის წლიური და საგამოცდო წერითი ნამუშევრების გრამატიკული
ნაწილის შეფასებათა საფუძველზე საგამოცდო ინსტრუქციაში მოცემული წესით.

2. საშუალო განათლების ატესტატში ხაზის ნიშანი შევა VIII კლასში, ხო-
ლო გეოგრაფიაში — IX კლასში მიღებული წლიური შეფასების მიხედვით.

სკოლების სამმართველო

ვ ა გ მ ა ვ ლ ე ბ ლ ი ს

სსრ კავშირის განათლების მინისტრი
მ. პროკოფიევი

1970 წლის 31 დეკემბერი
№ 108-3

ი ნ ს ტ რ უ კ ც ი ა

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მოსწავლეთა
ყოფაქცევის შეფასების შესახებ

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდებას, ხუთ-
ბალიანი სისტემის ნაცვლად, შეძლოაქვს მოსწავლეთა ყოფაქცევის
შემდეგი შეფასება: „სანიმუშო“, „დამაკმაყოფილებელი“ და „არა-
დამაკმაყოფილებელი“. მოსწავლეთა ყოფაქცევას I—III (IV)
კლასებში აფასებენ მასწავლებლები, ხოლო IV—X (XI) კლასებ-
ში — კლასის ხელმძღვანელები.

IV—X (XI) კლასების მოსწავლეთა ყოფაქცევის შეფასებისას
გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ კლასების მასწავლებელთა,
სკოლის საზოგადოებრივი ორგანიზაციების აზრი.

ყოფაქცევის შეფასების ახალი წესის შემოღება უნდა ემსახუ-
რებოდეს მთავარი ამოცანას — მოსწავლეთა შეგნებული დისკიპლი-
ნის განმტკიცებას.

მოსწავლეთა ყოფაქცევის ნიშნების გამოყვანა მოითხოვს სწორ
მეთოდურ მიღებამასა და პედაგოგიურ ტაქტს. შეფასება უნდა
იყოს ობიექტური და ასახავდეს მოსწავლის ქცევის ნამდვილ სუ-
რათს; მის მიერ სოციალისტური თანაცხოვრების ნორმების შესრუ-
ლებას.

ყოფაქცევის შეფასების მთავარი კრიტერიუმი არის მოსწავ-
ლის მიერ თავისი ძირითადი მოვალეობის შესრულება, რაც ჩამო-
ყალიბებულია „მოსწავლეთა წესებში“.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდებით გათვა-
ლისწინებულია მოსწავლეთა ყოფაქცევის ორი დადებითი შეჯუტურია
ბა: „დამაკმაყოფილებელი“ და „სანიმუშო“.

შეფასება „დამაკმაყოფილებელი“ ეწერებათ იმ მოსწავლეებს,
რომლებიც ასრულებენ „მოსწავლეთა წესებით“ განსაზღვრულ
სკოლის ძირითად მოთხოვნებს, მონაწილეობენ სკოლის საზოგა-
დოებრივ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში.
ეს შეფასება ახასიათებს მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილის ყო-
ფაქცევას. მისი დაწერა არ უნდა განიხილებოდეს, როგორც განსა-
კუთრებული შემთხვევა.

შეფასება „სანიმუშო“ ეწერებათ მოსწავლეებს, რომლებიც
უფრო ბეჭითად სწავლობენ და განსაკუთრებით აქტიურად მონა-
წილეობენ კლასისა და სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და
საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, სანიმუშოდ იქცევან სკო-
ლაში, შინ და ქუჩაში, განუხრელად ასრულებენ „მოსწავლის წე-
სებს“. შეფასება „სანიმუშო“ უნდა დაეწეროს მოსწავლეთა მხო-
ლიდ იმ ნაწილს, რომელთა ყოფაქცევა სამაგალითო იქნება სხვა
მოსწავლეთათვის.

შეფასება „არადამაკმაყოფილებელი“ ეწერებათ მოსწავლეებს,
რომლებიც სისტემატურად არ ასრულებენ „მოსწავლეთა წესებით“
გათვალისწინებულ თავიანთ ძირითად მოვალეობებს, არ ემორჩი-
ლებიან სკოლის, მასწავლებლების მოთხოვნებს, უდისციპლინობას
იჩენენ სკოლაში, ოჯახში, საზოგადოებრივ ადგილებში. ცალკეულ
შემთხვევაში შეფასება „არადამაკმაყოფილებელი“ შეიძლება და-
წეროს მოსწავლის მიერ ერთეული ანტისაზოგადოებრივი, სამარ-
თალდარღვევის სახითათვის საქციელისათვის.

ყოფაქცევის შეფასება ხდება სასწავლო მეოთხედებისა და სას-
წავლო წლის შედეგების მიხდვით. ის იწერება მოსწავლის დღოურ-
ში და ეცნობება მშობლებს. სასწავლო კვირის შედეგების მიხედვით
მასწავლებელს (II — III კლასებში) და კლასის ხელმძღვანელს
(IV — X (XI) კლასები) აუცილებლობის შემთხვევაში მოსწავლის
დღოურში შეაქვთ მოკლე ჩანაწერი მისი ყოფაქცევის შესახებ.

წლიური არადამაკმაყოფილებელი შეფასება ყოფაქცევაში მო-
სწავლეებს ეწერებათ მხოლოდ სკოლის პედაგოგიური საბჭოს გა-

დაწყვეტილების შემდეგ. ამ შემთხვევაში კლასის ხელმძღვანელები და I — III კლასის მოსწავლებლები პედაგოგიურ საბჭოს უდიდესობაზე მოტივირებულ დასაბუთებას პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის აზრის გათვალისწინებით.

გამოსაშვები X (XI) კლასის მოსწავლეები, რომლებსაც ყოფაქცევაში აქვთ, წლიური არადამაყმაყოფილებელი შეფასება, წესდების მე-20 პარაგრაფის შესაბამისად, გამოცდებზე არ დაიშვებიან და ისინი იღებენ ცნობას იმის შესახებ, რომ მოისმინეს სამუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსი. სამუალო განათლების ატესტატზე გამოცდები მათ შეუძლიათ ჩააბარონ მომდევნო სამწერლიში — დადგენილი წესით, სამუშაო ადგილიდან დადებითი დასახიათების წარმოდგენის შემდეგ.

თუ გადასაყვანი კლასების მოსწავლეები ყოფაქცევაში წლიურ არადამაყმაყოფილებელ შეფასებას მიიღებენ, შემდეგ კლასში ისინი პირობით იქნებიან გადაყვანილი. მოსწავლის მიერ ყოფაქცევაში არადამაყმაყოფილებელი შეფასების განმეორებით მიღებისას, მასწავლებლებისა და სკოლის ხელმძღვანელებისადმი სისტემატური დაუმორჩილებლობისა და დისციპლინის უხეში დარღვევის შემთხვევაში, პედაგოგიური საბჭო განიხილავს მისი სკოლიდან გარიცხვის საკითხს.

VIII კლასის მოსწავლეები, რომლებსაც ყოფაქცევაში წლიური შეფასება „არადამაყმაყოფილებელი“ აქვთ, იღებენ რვაწლიანი განათლების მოწმობას ყოფაქცევის შეფასების ხაზზე შესაბამისი ჩანაწერით. ასეთი მოსწავლეების IX კლასში ჩარიცხვის საკითხი შეიძლება გადაწყვიტოს მხოლოდ სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 89

სსრ კაგზარის განათლების მინისტრისა

. მოსკოვი, 1970 წლის 23 ნოემბერი

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა
დასაჯილდოებლად ქების ფურცლების შემოლების

ზ ე ს ა ხ ე ბ

წარჩინებული წარმატებისა და სანიმუშო ყოფაქცევისათვის
მოსწავლეთა ქების ფურცლით დაჯილდოების შესახებ საშუალო
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდების მე-15 პუნქტის შესა-
ბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შემოლებულ იქნეს ქების ფურცელი წარჩინებული წარმა-
ტებისა და სანიმუშო ყოფაქცევისათვის I — IX (X) კლასების მოს-
წავლეთა დასაჯილდოებლად.

2. დამტკიცდეს ქების ფურცლის თანდართული ნიმუში და
და „ინსტრუქცია ქების ფურცლით ზოგადსაგანმანათლებლო სკო-
ლების მოსწავლეთა დაჯილდოების წესის შესახებ“.

3. დაევალოს სასწავლო თვალსაჩინოებებითა და სასწავლო მო-
წყობილობებით სკოლების მომარაგების სამმართველოს (ამ. ი. ი.
ღრიგო), სსრკ გოზნაკის მთავარ სამმართველოსთან ერთად, 1971—
72 სასწავლო წელს. მოაგვაროს დამტკიცებული ნიმუშის ქების
ფურცლის დამზადება.

4. დაევალოთ მოყაფშირე რესპუბლიკების განათლების (სახალ-
ხო განათლების, სამინისტროებს სახალხო განათლების აღგილობ-
რივ ორგანოებამდე და სკოლებამდე დაიყვანონ „ინსტრუქცია ქების
ფურცლით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა და-
ჯილდოების წესის შესახებ“.

უზრუნველყონ დამტკიცებული ნიმუშის ქების სიგელის ბლან-
კების დადგენილი წესით დაკვეთა.

8. პროცესიები

0 6 6 0 6 7 8 0 1 1

ქების ფურცლით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების
მოსწავლეთა დაჯილდოების წესის შესახებ

1. ქების ფურცლით „წარჩინებული წარმატებისა და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“ გილდოვდებიან I—IX (X) კლასების შოსწავლები, რომელთაც ყველა საგანში აქვთ წლიური შეფასება „5“ (ან „ჩაეთვალა“ — სიმღერასა და ფიზულტურაში), სანიმუშო ყოფაქცევა, აქტიურად მონაწილეობენ სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში.

2. მოცემული ნიმუშის ქების ფურცლით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა დაჯილდოება შემოდის 1972 წლიდან.

3. ქების ფურცლით დაჯილდოება წარმოებს სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ, მასწავლებლისა (I—III კლასები) და კლასის ხელმძღვანელის (IV—IX (X) კლასები) წარდგინებით, პიონერული (პიონერთათვის) და კომუნიკაციული (კომუნიკაციულთათვის) ორგანიზაციების, აგრეთვე მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანების აზრის გათვალისწინებით, მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანისა და VIII კლასის გამოშვების საქითხის გადაწყვეტასთან ერთდროულად.

4. მოსწავლეებზე გაცემული ქების ფურცლები აღირიცხება სპეციალურ წიგნში.

5. რვაკლასდამთავრებულნი, დაჯილდოებულნი ქების ფურცლით, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ჩარიცხვისას სარგებლობენ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი უპირატესობით.

დამტკიცებული

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968
წლის 18 დეკემბრის № 1000 დადგენ-
ლებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ოქროს მედლის „წარჩინებული წარმატებებისათვის სწავლაში,
შრომაში და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“ და ქების სიგელის
„ცალკეული საგნების შესწავლაში განსაკუთრებული
წარმატებებისათვის“ შესახებ

1. ოქროს მედლით „წარჩინებული წარმატებებისათვის სწავ-
ლაში, შრომაში და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“ გილდოვდებიან
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულნი,
რომელთაც IX, X (XI) კლასებში სწავლის პერიოდში აქვთ წლიუ-
რი შეფასება „5“ ყველა საგანში, ყველა გამოსაშვებ გამოცდაზე.
მიიღეს შეფასება „5“, აქვთ სანიმუშო ყოფაქცევა და აქტიურად
მონაწილეობენ სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ოქროს მედლითა და ქების სიგელით საღამოს (ცვლის) და
დაუსწრებელი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურს-
დამთავრებულთა დაჯილდოების დროს მხედველობაში მიიღება მა-
თი დახსინათება სამუშაო ადგილიდან.

2. ოქროს მედალს „წარჩინებული წარმატებებისათვის სწავ-
ლაში, შრომაში და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“ ანიჭებს სკოლის
პედაგოგიური საბჭო და გადაეცემა მოსწავლეს მას შემდეგ, რაც
პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილება დამტკიცდება მოკავ-
შირე რესპუბლიკების, რომელთაც არ აქვთ საოლქო დაყოფა, გა-
ნათლების (სახალხო განათლების) სამინისტროების, ავტონომიური
რესპუბლიკების განათლების სამინისტროების, სამხარეო, სოლქო,
მოსკოვისა და ლენინგრადის საქალაქო სახალხო განათლების გა-

ყოფილებათა მიერ, სკოლების პედაგოგიური საბჭოებისა და რაზონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებების წერტილი მისამართით.

სახალხო განათლების ორგანოების მიერ ოქროს მედლით მოსწავლეთა დაჯილდოებისათვის სკოლების მიერ წარმოდგენილი მასალების განხილვის წესს აღვენს სსრკ განათლების სამინისტრო.

ოქროს მედლით სხვა სამინისტროებისა და უწყებების განკარგულებაში მყოფი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა დაჯილდოება წარმოებს მოცემული დებულების შესაბამისად და სსრკ განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

ქების სიგელით „ცალკეული საგნების შესწავლაში განსაკუთრებული წარმატებებისათვის“ გილდოვდებიან საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულნი, რომელთაც განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს ერთი ან რამდენიმე საგნის შესწავლაში და ამ საგნებში IX და X კლასებში სწავლის დროს ჰქონდათ წლიური შეფასება „5“, აგრეთვე „5“-ზე ჩააბარეს გამოცდები ამ საგნებში, ყველა დანარჩენ საგანში აქვთ დადგებითი შეფასება და სანიმუშო ყოფაქცევა.

4. ქების სიგელის „ცალკეული საგნების შესწავლაში განსაკუთრებული წარმატებებისათვის“ მინიჭება ხდება სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ.

ქების სიგელის მართებულად მინიჭებაზე კონტროლს ახორციელებენ სახალხო განათლების შესაბამისი ორგანოები.

ოქროს მედალს „წარმატებებისათვის სწავლაში, შრომაში და საუკეთესო ყოფაქცევისათვის“ და ქების სიგელს „ცალკეული საგნების შესწავლაში განსაკუთრებული წარმატებისათვის“ დაჯილდოებულთ გადასცემს სკოლის დირექტორი საზეიმო კრებაზე.

5. პირნი, დაჯილდოებულნი იქმიოს მედლით „წარჩინებული
წარმატებისათვის სწავლაში; შრომაში და სანიმუშო ყოფაქცეული
სათვის“ ან ქების სიგელით „ცალკეული საგნების შესწავლაში გან-
საკუთრებული წარმატებებისათვის“, უმაღლეს და საშუალო სპე-
ციალურ სასწავლებლებში ჩარიცხვისას სარგებლობენ შესაბამის
სასწავლო დაწესებულებებში მიღების წესებით დადგენილ უპირა-
ტესობით.

სსრკ განათლების მინისტრი
1969 წლის 12 ოქტომბერი
№ 19-8

**მოქავშირე რესაუბლიერაის განათლების
(სახალხო განათლების) მინისტრების**

ოქროს მედლით „წარჩინებული წარმატებებისათვის სწავლაში,
შრომაში და სანიმუშო „ყოფაქცევისათვის“ და ქების სიგელით
„ცალკეული საგნების შესწავლაში განსაკუთრებული
„წარმატებებისათვის „დაჯილდოების შესახებ

შემოსულ შეკითხვებთან დაკავშირებით, სსრკ განათლების სა-
მინისტრო განმარტავს, რომ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო
სკოლების კურსდამთავრებულთა ოქროს მედლით „წარჩინებული
წარმატებებისათვის სწავლაში, შრომაში და სანიმუშო ყოფაქცევი-
სათვის“ და ქების სიგელით „ცალკეული საგნების შესწავლაში
განსაკუთრებული წარმატებებისათვის“ დაჯილდოებისას უნდა ვი-
ხელმძღვანელოთ შემდეგით:

— მოსწავლეები, განთავისუფლებული საშუალო სკოლის და-
მამთავრებელი გამოცდებიდან, ოქროს მედლით არ ჯილდოვდებან;

— ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის კურსდამთავ-
რებულნი, რომელიც მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ
სწავლობდნენ უცხოურ ენას, შეიძლება ოქროს მედლით დაჯილ-
დოვდნენ საერთო საფუძველზე;

— სკოლის პედაგოგოური საბჭოს მიერ ოქროს მედლის მინი-
ჭების საკითხის გადაწყვეტისას მოსწავლეთა მიერ IX — X (XI)
გლასებში სასწავლო გეგმის ცალკეულ საგნები მიღებული წლიუ-
რი ნიშნების გადასინჯვა არ არის ნებადართული;

ქების სიგელის „ცალკეული საგნების შესწავლაში განსაკუთ-
რებული წარმატებებისათვის მინიჭებისას მხედველობაში მიიღება



არა მხოლოდ წლიური შეფასება „5“ ერთ-ან რამდენიმე საგზოში და სანიმუშო ყოფაქცევა დანარჩენ საგნებში დადებითი შეფასების კვალობაზე, არამედ არჩეული საგნებისადმი მოსწავლის განსაკუთრებული დაინტერესება: შესაბამის საგნობრივ ოლიმპიადებში მონაწილეობა, ფაქულტეტიური კურსის წარმატებით შესწავლა, საგნობრივ წრეებში აქტიური მუშაობა, მონაწილეობა კონკურსებში, გამოფენებში და ა. შ. ქების სიგელებში ჩამოითვლება საგნები, რომლებშიც მოსწავლემ განისაკუთრობულ წარმატებებს მიაღწია. სკოლის კურსდამთავრებულნი, დაჯილდოებულნი ქების სიგელით, მასთან ერთად ღებულობენ საშუალო განათლების ატესტატს ჩვეულებრივი სახის ბლანკზე.

სსრ კავშირის განათლების მინისტრი

მ. პროპოზივივი

სსრ განათლების მინისტრი
1969 წლის 12 თებერვალი
№ 18-მ

მოკავშირე რესპუბლიკების განათლების (სახალხო განათლების)
სამინისტროებს, საგზაო სამინისტროს

სახალხო განათლების ორგანოების მიერ ოქროს მედლით
მოსწავლეთა დასაჯილდოებლად სკოლების მიერ წარმოდგენილი
მასალების განხილვის

წ ე ს ი

